მემორანდუმი № 01-08-17/99-2018-4
02.04.2018

ქ. თბილისი **2018 წლის 26 თებერვალს**

წინამდებარე მემორანდუმი დადებულია

ერთის მხრივ, **საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა**

და

მეორეს მხრივ, **ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ"-ს**

შორის

მემორანდუმის მიზანი:

ითვალისწინებენ რა საქართველოში მშენებლობის განვითარებასა და ნორმალურ ფუნქციონირებაში კვალიფიციური კადრების უდიდესი როლს და სპეციალისტების მომზადებაში აკადემიური განათლებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის გადამწყვეტ მნიშვნელობას, მხარეები მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ საქართველოში მშენებლობის განვითარებას, ამ დარგისთვის მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის გზით.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სასაწავლო პროცესის წარმართვისას და პროგრამების შედგენისას შეეცდება მოამზადოს იმ დარგის, პროფილის და კვალიფიკაციის სპეციალისტები (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი), რომლებიც მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ" -ს (შემდგომში – „ასოციაცია ატუ" საჭიროებას.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „ასოციაცია ატუ"-ს მოთხოვნათა შესაბამისად, მოამზადებს მშენებლობის დარგის სპეციალისტებს და მიაწვდის კურსდამთავრებულთა სიას, მათ მონაცემებს, დახასიათებას და ინფორმაციას აკადემიური მოსწრებისა და გამოყენების სფეროს შესახებ.
- „ასოციაცია ატუ"–სგან შესაბამისი მოთხოვნ(ებ)ის მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაამუშავებს და ჩაატარებს ურთიერთ შეთანხმებული პრობლემური ტექნიკური საკითხების გადაწყვეტისთვის საჭირო თეორიულ, ექსპერიმენტულ და საკონსულტაციო სამუშაოებს, შესრულების და ანაზღაურების შესაბამისად.

- „ასოციაცია ატუ“–სგან შესაბამისი მოთხოვნ(ებ)ის მიღების შემთხვევაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი განახორციელებს საპროექტო სამუშაოებს „ასოციაცია ატუ“ – ს მიერ სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად, შესრულების ვადებისა და ანაზღაურების შესაბამისად.
- „ასოციაცია ატუ“ –სგან შესაბამისი მოთხოვნ(ებ)ის მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ორგანიზაციას გაუწევს ტრენინგებს „ასოციაცია ატუ“ –ში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ამასთან, მიიწვევს „ასოციაცია ატუ“– ს წამყვან სპეციალისტებს პედაგოგიური მოღვაწეობისთვის.

2. ასოციაცია „ატუ“

- „ასოციაცია ატუ“ (შესაძლებლობის და თავისი საჭიროების შესაბამისად) ხელს შეუწყობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს გაიარონ საწარმოო პრაქტიკა „ასოციაცია ატუ“-ს სამშენებლო ობიექტებზე.
- შესაძლებლობის ფარგლებში („ასოციაცია ატუ“–ს საჭიროებებიდან გამომდინარე) შესთავაზებს სამუშაოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომელთა ცოდნა და უნარ–ჩვევები დააკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნებს.
- „ასოციაცია ატუ“ თავისი საჭიროების შემთხვევებში, შესთავაზებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს პრობლემური ტექნიკური საკითხების დამუშავებას, დამატებითი შეთანხმებების მიღწევის შემთხვევაში (ორმხრივად მისაღები ანაზღაურებით) და უზრუნველყოფს მათ, ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მის ხელთ არსებული ინფორმაციით.
- „ასოციაცია ატუ“ თვისი საჭიროებიდან გამომდინარე, გააგზავნის თავის თანამშრომლებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მიზნობრივ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

მემორანდუმში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა ხდება მხარეთა შეთანხმებით.

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ მის შეწყვეტამდე ვადით. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ, მეორე მხარისთვის შეწყვეტამდე 30 დღით ადრე წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით.

საქართველოს ტექნიკური	ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს
უნივერსიტეტის	გამგეობის თავმჯდომარე - როსტომ ჩაბრაძე
რექტორი: არჩილ ფრანგიშვილი	
_____	_____